ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4876942

ნომერი: AR1735905

თარიღი : 21.02.2020

გაცემის თარიღი : 26.02.2020

გაცნობის თარიღი : 26.02.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , (ნაკვ. 37/9);

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ ტყეშელაშვილი პ/ნ 01003005047
- თბილისი ო.ონიაშვილის ქ. N 2 ბ. 14

ორგანიზაცია:
- შპს "ალაზანი" კოდი: 206025692

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს

სივრცის დაგეგმარების, არქიეტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ფოტომონტაჟის) მიხედვით ხდება არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენებით- ფართის მატებით. შესაბამისად ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები სცდება I კლასის მახასითაებლებს. იგი თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება ისეთი სახის რეკონსტრუქციას, რომელიც საჭიროებს არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას და მშენებლობის ნებართვის გაცემას, რომელიც გაიცემა სამ სტადიად, კერძოდ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა (I სტადია), არქიტექტურული პროექტის შეთანხმება (II სტადია) და მშენებლობის ნებართვა (III სტადია).
თქვენს შემთხვევაში შეთანხმებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული პროექტის ცვლილება და გაცემულია შესაბამისი მშენებლობის ნებართვაც, შესაბამისად წარმოდგენილი სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებისთვისაც აუცილებელია პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის აღება. აქვე გაითვალისწინეთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად საპროექტო სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია უნებართვოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.